№ 237 ნოემბერი 2, კვირა · 1886 · ნოემბერი 2 კვირა № 237

გაზეთი ღირს

| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . | 10 — | 6 . . | 6 — |
| 11 . . | 9 50 | 5 . . | 5 50 |
| 10 . . | 7 75 | 4 . . | 4 75 |
| 9 . . | 8 — | 3 . . | 3 50 |
| 8 . . | 7 25 | 2 . . | 2 75 |
| 7 . . | 6 50 | 1 . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურსა ტერიქეროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი · სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი · 1877—1886 წელიწადი

## ქართული თეატრი

**დღეს, 2 ნოემბრისთვეს,**

ბანკის (არწრუნისეულ) თეატრში ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასისაგან წარმოდგენილი იქნება კოტე ყიფიანის მონაწილეობით:

I

### ხათაბალა

კომედია 4 მოქმ. და 6 სურათად გ. სუნდუკიანცისა.

მოთამაშენნი: ქქ. გაბუნია-ცაგარლისა, საფაროვი-აბაშიძისა, ლეონიძისა, ბბ. ყიფიანი, აწყურელი, ალექსეევმესხიევი მაქსიმიძე, და სხვ.

დასაწყისი 7½ საათზე

---

ტფილისი, 1 ნოემბერი

უწინ თავად-აზნაურობა საზოგადო საქმეში იყო რჯულის ყურის მგდებელიცა და, თავის ქვეშევრდომ გლეხობასთან ერთად, ვალდებულობის აღმსრულებელიცა. ამათში აუცილებლად, —ამას ქვეყნის საჭიროება მოითხოვდა,—ერთობა უნდა ყოფილიყო აზრებისაცა და გრძნობისაცა მთელის ქვეყნის დასაცვავად. ეს ერთობა იყო მაშინ კიდეცა ბევრად უფრო მომეტებულად, ვიდრე დღეს, როცა არა თუ ბატონსა და გლეხებ-შორის, მამასა და შვილს შორისაც ძალიან იშვიათად ვხედავთ. მაშინ ხალხსა სხვა ჯარი, სხვა უფროსები და წინამძღვარი არავინა ჰყავდა, გარდა თვით მეფისა და თავად-აზნაურთა თავის გლეხებითურთ და ყველანი ესენი ჰფთხილობდნენ იმ შიშის გამო, რომელსაც ელოდნენ გარეგანის მტრებისაგანა და რომელიც ყოველის კაცისათვის ცხადი იყო. დღეს სულ სხვა არის. გარეგანის მტრისაგან განთავისუფლებულნი ვართ. რამ აფხიზლოს თავად აზნაურობა. დღეს ჩვენ დიდს სახელმწიფოში ვართ. დღეს უმაღლესს უფლებასა თავისი რთული მმართველობა ჰყავს და ჩვენში ასი ათასი ჯარი უყენია ქვეყნის მშვიდობიანობისათვის. ამ ჯარში შეუძლიანთ ყოველთა როგორც თავადა-ზნაურობისამ, ისე გლეხობისამაც მონაწილეობა მიიღონ და იღებენ კიდეცა, დღეს გარემოება და დროების მოთხოვნილება ჩვენ თავად-აზნაურობას მარტო იმას ეუბნება,—ეხლა, თუ შეიძლოთ, თქვენ ეკონომიურ მდგომარეობას მოუარეთო და მისდიეთ იმას რასაც განათლების მოთხოვნილება ჩაგინერგავს გულშიო, რომ კაცად-კაცი იყო ღირსეულიო.

ყოველივე ეს მართალია, მაგრამ თუ შეიძლოთ, თქვენს ეკონომიურს მდგომარეობას მოუარეთო, ეს როგორღა აასრულონ? და მისდიეთ იმას რასაც განათლების მოთხოვნილება ჩაგინერგავსთ გულშიო, ეს როგორღა აიტანონ? თქმა ადვილია, აღსრულებისა კი რა მოგახსენოთ.—ჯერ ამ განათლების მოთხოვნილებას თავი დავანებოთ და პირველი წინადადება გამოვიკვლიოთ: ჩვენ ჩვენს ეკონომიურს მდგომარეობას მოვუაროთ. როგორ?

კაცსა ცხოვრება უნდა. ცხოვრებისათვის საჭიროა ღონისძიება. ღონის-ძიება ზოგსა აქვს მამაპაპეული, ზოგმა უნდა შეიძინოს. მამაპაპეულის დასაცვავადაც და შესაძინებლადაცა არის საჭირო შრომა. უშრომოდაც, მართალია, შეიძლება, მამაპაპეულ ქონების შემოსავლით თავის რჩენა, მაგრამ ძალიან იშვიათად, ათასში ერთისათვის თუ, და ისიც უფრო დროებით. ყოველ შემთხვევაში აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რომ ყოველმა კაცმა იქონიოს ანგარიში თავისის ღონისძიებისა და თავის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელის ხარჯისა. ამ ანგარიშსა და ანგარიშში გონიერად საქმის წაყვანასა ჰქვიან ეკონომია. ვერავითარი საზოგადოება ვერ იცხოვრებს უამისოდ, ვერავითარი კერძო კაცი ვერ მიაღწევს უეკონომიოდ მკვიდრ კეთილდღეობასა. ამ ეკონომიის პირველი მოთხოვნილება ის არის, რომ კაცმა საჭიროებანი და მოთხოვნილებანი ისეთნი იქონიოს, რის დაკმაყოფილებაც შეიძლოს თავისის საკუთარის ღონისძიებითა, რომ ხარჯი არ აღემატებოდეს კაცის შემოსავალსა და ნაშრომსა.

შრომა და ეკონომია! რასაკვირველია, ამაში არა მდგომარეობს თვით მოთხოვნილება ჩვენის საუკუნის განათლებისა, მაგრამ ესენი არიან ჩვენს დროში ის აუცილებლად საჭირო საძირკველი და ბურჯი, რომელზედაც უნდა ეგოს კაცის ღირსება. უამათოდ დღეს ღირსების შენახვა კაცისათვის მეტის-მეტად ძნელია. დღეს კაცსა მეტად რთული და ძნელი მოთხოვნილება აწევს კისერზე—თავის თავის შესახებ, შესახებ თავის ცოლშვილისა, ნათესაობისა, მეზობლობისა, თემისა, საზოგადოებისა, ქვეყნისა, სახელმწიფოსი, რჯულისა, სწავლისა და განათლებისა. რომელი კაციც ყოველ ამ მოვალეობას არ ასრულებს, ის დღეს, დღევანდელის დღის კვალობაზე, რა კაცია! ვინც შრომასა და ეკონომიას გადუდგება, არ შეიძლება არ დაჰკარგოს ცხოვრების გზა და კვალი, თავისი კაცობრივი ღირსება, ზნეობისა და ჭკუა-გონების სიწმინდე.

რა ეჭვია, ყველასთვის სასურველია, ჩვენმა თავად-აზნაურობამ დაიცვას თავი ისე, რომ დღესაცა და მომავალშიაც ისეთივე ღირსი ხელთმძღვანელობა იქონიოს, როგორც რიგია. მხოლოდ ჩვენის დროების მოთხოვნილებათა დაგვარად კი. მაგრამ თვალი დავაკვირვოთ, რასა ვხედავთ? ჩვენის თავად-აზნაურობის ცხოვრება ისეთ ნაირად არის აშლილი, რომ შრომის მოყვარეობა და ეკონომიის კვალი სრულებით დაკარგული აქვს. ძველად სად იყო ვალის აღება. ათასში ერთს თუ შეხვდებოდა აუცილებელი საჭიროება ვალის აღებისა. ჩვეულებადა ჰქონდათ მაშინ, რომ ის წყაროც გამოცხადებულიყო, საიდანაც უნდა გადახდილიყო ვალი. უფრო ხშირად იმ წყაროს თვით ფულის მიმცემს მიაჩემებდნენ, რომ მას თვითონვე მიეღო შემოსავალი, მანამ ვალი გადიხდებოდა.

დღეს კი ვალის შოვნა ისე გაგვიხდა, თითქო კაცის დანიშნულება მარტო ამაში მდგომარეობდეს. იმაზე ვინ იფიქრებს, რომ ჩვენს დროში ვალსა სხვა აზრი აქვს, ის კი არა, რომ წუთიერს ლხინსა და დარდიმანდობაში გაიფლანგოს, არამედ ისა, რომ რაცა გაქვს, ის შეაკეთო, რომ მეტი შემოსავალი მოგცეს, ყოველ შემთხვევაში იმაზე მეტი, რა სარგებელსაც შენ იხდი. ჩვენმა თანამედროვე მებატონემ შეიძლოს ვალის აღება და არ აიღოს, თუნდა მამასისხლადაც, შეუძლებელია. მომავალისათვის ხომ არა ჰფიქრობს, მხოლოდ დღევანდელის წუთისათვის. ვალ-ვახშობა მებატონეებისა განსაკუთრებით ამ ორმოც წელიწადში საშინელებამდინ არის მიღწეული. რა არის მიზეზი? უანგარიშო ცხოვრება. მართალია, ხშირად სხვისის ხელის შეწყობაც არის მიზეზად: ვექსილების ხელის მოწერა სხვისათვის, ვის არ გადაგვხედია? გაჭირდა საქმე. მაგრამ, ამასაც კი ზემოხსენებულ უანგარიშობაში უდგია ფეხი.—ვიცით, ეხლა ბევრნი ჰფიქრობენ და უფიქრიათ, რომ ანგარიში დაიჭირონ, შემოსავლის მიხედვით იქონიონ ხარჯიცა, მაგრამ ვინც კი გამოსდგომია ამ გვარ ანგარიშსა, ყველთვის უთქვამს: არა, ეხლა გვიანღა არის თავდარიგის დაჭერაო, რადგანაც რაც შემოსავალი მაქვს, სულ რომ ვაძლიო, მაინც ველარ აუვა სარგებლების გადახდასაო. ამ მდგომარეობაშია ჩვენში დიდი უმრავლესობა. რომ დავაკვირდეთ ამ გვარის კაცების რაოდენობას, შიშის ზარი ჰმუსრავს

---

# ფელეტონი

## განათლების საგალობელი

ერთ დროს რომ მკვდარი გვეგონა,
თურმე საგათით სძინავდა:
სული გვამშივე სდგომია,
თუმც ბაგე აღარ ფშვინავდა.

—

აწ გამოფხიზლდა უეცრად,
ზე აღსდგა ასამაღლებლად!
ნამსჭვალსა ხელი შეახე,
თომაო, სარწმუნებლად.

—

აღდგომის ფერხულს ჩავებათ
წყობისად მარგალიტადო,
ხან „ქრისტე აღსდგა“ ვიძახოთ,
ხანა ვსთქვათ: „ჭეშმარიტადო!“

—

აღსდგა და აწ ამაღლდება
თან სდევს ციური ნიჭება
და საუკუნო ცხოვრება
ამიერ მოგვენიჭება!..

აკაკი

~~~

## ოთხი დღე

მდ. ენგურის, ცხენის წყლის და რიონის სათავეებში.

ერთად-ერთი მარჯვე და მოკლე გზა სვანეთიდამ გამოსასვლელი არის ის გზა, რომელიც ესრედ წოდებულს ლატფარის უღელ-ტეხილზე გადის. ამ გზით სვანეთიდამ წამოსული მოგზაური გაივლის სადადიანო სვანეთის ორს საზოგადოებას—ჩოლურს და ლენტეხს, შემდეგ ლეჩხუმის რამდენსამე საზოგადოებას და ბოლოს ლეჩხუმშივე დაადგება ქუთაისში მიმავალს გზა-ტკეცილს, რომელიც ქუთაისს მიიყვანს. აგერ მეჩვიდმეტე წელიწადია მას აქედ, რაც სვანეთიდამ გადმოვედი და ერთი ზაფხული არ გამომიშვია, რომ ჩემ სამშობლო სვანეთს—ამ „კავკასიის შვეიცარიას“ არ ვსტუმრებოდი და ყოველთვის კი ხსენებულს გზაზე მიმოვდიოდი ხოლმე, ხან ფეხით, ხან ცხენით. ყოველი შესანიშნავი, საყურადღებო ადგილი, გორა, ღელე, წყარო, ამ გზაზე ისე ვიცი, როგორც ჩემის ხელის თითები. მაშასადამე, ამ გზაზე სიარული ჩემთვის უინტერესო და ხალის მოკლებულია. ერთი მცირე მიზეზი ეს არის, რომ წრეულს ამ გზით არ დავბრუნდი ქუთაისს; მეორე მიზეზი ის გახლავთ, რომ ახლანდელი ჩემი გზა—თუ კი მას გზა დაერქმის—ისეთ ადგილებზე გაივლიდა, სადაც უცხო მოგზაურის ფეხი ძრიელ იშვიათად მოხვდება; მაგ., ჩვენ ვიცით, რომ 1850 წლიდამ ზაფხულს ისე არ გაუვლია, რომ 2—6-დე მოგზაური არა სწვეოდეს სვანეთს, თუ რუსი, თუ უცხოელი და ამათგანში მარტო ორი მოგზაური მოხვდა ჩემს საველელს გზას: ბ-ნნი რადდე 1864 წელს და ინგლისელი მოგზაურ-მონადირე, ფილიპ-უოლსლეი, როგორც მახსოვს, 1882 წელსა. უმთავრესი მიზეზი კი ჩემის წრევანდელის მოგზაურობისა იყო სურვილი: ადგილობრივ მენახა ხეობები მდ. ყორულდისა, ზესხეისა და ხიდურისა, სადაც, როგორც ისტორიულად ვიცით, XV*) საუკუნეში ხალხს უცხოვრია და დღეს კი ეს ხეობები, რომელნიც ცხენის წყლის სათავეში მდებარეობენ, გავერანებულან და სახსოვრად უწინდელის მათის მცხოვრებლებისა დარჩენილან-ღა მარტო ნანგრევნი სახლ-კოშკებისა და საყდრებისა. ამ ხეობებზე და მათში ოდესმე ნაცხოვრებ ხალხზე ჩვენ შეკრებილი გვქონდა ლეგენდები; ამას დაუმატეთ ისიც, რომ ჩვენ ვნახავდით მდ. რიონის სათავის ახლო მდებარე საზოგადოებას—ღებ-ჭიორას, რომლის მცხოვრებელნიც უწინ სვანები ყოფილან, მაგრამ დროთა განმავლობაში გარაჭველებულან; ვნახავდით ხალხს, შევიტყობდით, რამდენადაც ეს შესაძლებელია მოგზაურისათვის, ზოგიერთს მის ზნე-ჩვეულებას და მაშინ მკითხველი დამეთანხმება, რომ ჩვენი მოგზაურობა უსაგნო არ ყოფილა და აქ სიარული უბრალო ყიალ-ხეტიალად არ ჩაგვეთვლება...

ამ ნაირად 24 ივლისს 1885 წ. ვახსენე ღმერთი და გამოვემგზავრე უშკულიდამ. ჩემი თანამოგზაური იყო ცხრა კაცი—ყველა უშკულელები. ამათში ერთი სვანეთში პირველი მონადირე გეგიც იყო. გეგის მე ვსთხოვე წამოგვყოლოდა, რადგანაც გზად უნდა გაგვევლო უშკულის სანადირო ადგილები, სადაც გეგის თავის სიცოცხლის მომეტებული ნაწილი გაუტარებია და მცირე რამ ბილიკი, გორა, ღელე რა არის, ისიც-კი რომ არ იცოდეს. ამასთანავე ჩვენ დარწმუნებულნი ვიყავით, რომ გეგი გზაზე ნანადირევს გვაჭმევდა, ამის იმედი თვითონვე მოგვცა. ჯერ-ჯერობით გეგის თავი დავანებოთ და ენგურის სათავე ავსწეროთ. მდ. ენგურს სათავე აქვს კავკასიის დიდ ქედთან, უშკულის საზოგადოებითგან ერთის საათის სავალზე. ენგურს თავშივე შეადგენს ორი ტოტი, ერთი გადმოდის სამხრეთ-აღმოსავლეთითგან მთა «ნამყვამის» ძირითგან (რაღდეს ნუ ამკვამ) და მეორე პირ-და-პირ აღმოსავლეთითგან უსახელო მთის გორიდამ. ორივე ეს ტოტი თავში დაფარულია კლდე-ყინულითა. ერთი ამისთანა კლდე-ყინული სიგრძით 2 ვერსზე მომეტებული იქნება. უშკულის მოხუცებულებმა მითხრეს, რომ მათს ხსოვნაში ½ ვერსი მაინც დაჰკლებია, დამდნარა კლდე-ყინული. მართლადაც, ივლისში და აგვისტოში კაცი ჰხედავს, რომ ყინულის ზედაპირზე წყლის მდინარეები ჩამოდიან,

---

*) იხ. ბაქრაძე „Сванетія“ Записки Кавказ. Отд. Русс. Географ. Общ. кн. VI, 1864 г.
~~~

ჭკუა-გონებასა. ყოველს ჩვენს მხარეში თითით არიან საჩვენებელნი ის თითო-ოროლა კაცნი, რომელთაც ცხოვრების ანგარიში უჭირავთ, დანარჩენები ბედოვლათობაში-და ჰპოვებენ სიხარულსა და ან ფეხ-ქვეშ დედა-მიწის გახეთქას მოელიან, ან კიდევ ამ მდგომარეობაზე ფიქრს გაურბიან.

წვეულებანი და ყრილობანი უწინაც ხშირი ყოფილა. ჩვენის ქვეყნის მასპინძლობა განთქმული იყო ყოველთვის. ამასთან ხელის შეწყობაც კიდევ უფრო ხშირი იყო, შეძლებისა დაგვარად. მაგრამ ამასთან შეძლების მიხედვაც იყო ნომატებულად და ყოველსა ამას ჰქონდა საზოგადო მნიშვნელობა და ზომიერება. ეხლა რა საქმისათვისაც უნდა შეიყარნენ, უეჭველად უნდა ლოთობა და ღვინის სმა მოხდეს. მასპინძლობა, ეს ძველი საზოგადოების ღირსება, დღეს უაზრო და დამღუპავ ბედოვლათობად და მუდმივ ლოთობად არის გადაქცეული. ზომიერებაც სულ დაკარგულია: დღეს აქა ვსვით პეტრესთან, ხვალ პავლესთან ვიქნებით; გუშინ ბეჟანს თერთმეტი ქაშანური ჯამი ღვინო დაულევია; იმ დღეს სიკომ, სმა რომ გათავდა, მთელი დოქი ღვინო დასცალა. ამაში არის დღევანდელი სოფლის ცხოვრება. ამაში ჰპოვებენ ნეტარებას, ვაჟკაცობას და თავ-მოყვარების გამაყოფილებასა. სხვა სალოცავი და სადიდებელი საგანი აღარა არსებობს! დააკვირდით ამასა, თითქო...

ჩვენი ქვეყანა ისე იყო ძველადგანვე დადგინებული, რომ ქართველობას მარტო გარეგანი შიში უძლიერებდა ენერგიას. ეხლა მშვიდობიანობაში ჩვენმა საზოგადოებამ და თავად-აზნაურობამა თუ სხვა ჭკუა-გონების ამდუღებელი საგანი არა იპოვა-რა, აღარა ეშველება-რა. ამაზე ერთმა თავადიშვილმა, სთქვა: ჩვენის მამულების პატრონები თუ იცვალნენ და ახალი მეპატრონეები თუ დადგებიან შრომის გვალსა და ეკონომიურად დაიწყობენ ცხოვრებასა, თორემ ჩვენ სხვა აღარა გვიშველის-რაო.

ჩვენი სასოწარკვეთილება არ არის ჯერ აქამდინ მისული და ამისათვის ჩვენის იმედის და ნუგეშის მომცემი ორი საქმე არის: შრომა და ეკონომია!..

დ. უ.

## ახალი ამბავი

⁂ ერთი სასიამოვნო ამბავი უნდა შევატყობინოთ ჩვენს მკითხველებს: ქუთაისში სცხოვრებს ერთი ოჯახი მრევლიშვილისა, რომელმაც კარკად იცის ყოველ-გვარი ქართული გალობა. ამ ოჯახს ძველის ქართულის საგალობელის აზრისთვის მიუგნია და მიხვედრილა, როგორ უნდა იგალობოს კაცმა სხვა-და-სხვა საგალობელი. ერთი ამ გვარი საგალობელი, დაწერილი ეტრატზე, ასე მეთორმეტესა თუ მეცამეტე საუკუნისა, დაცულია წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ბიბლიოთეკაში. ამ საგალობელში ყოველს სიტყვას ნოტების თავისი საკუთარი ნიშნები აქვს, ხმის ასამაღლებელი და დასამდაბლებელი. აქამდე ეს ნიშნები ვერავის ვერ გაეგო და ვერ მიხვედრილიყო, რა წესით იყო შედგენილი. ახლა-კი, როგორც ნამდვილად ამბობენ, ზემოხსენებული ოჯახი მიხვედრილა, როგორც უნდა ხმარება ამ გვარის საგალობლებისაო. თუ ეს ამბავი მართალია, ძველი კილო და ძველი ქართული გალობა დაკარგულად არ უნდა ჩაითვალოსო.

⁂ ჩვენ კერძოდ შევიტყვეთ ერთი სხვა ამ გვარი ამბავიცა: ტფილისში შემდგარა თურმე ხორო ქართველ მგალობელთა. ეს ხორო დიდი ხანია სწავლობს სხვა-და-სხვა ქართულს სიმღერებს ბ-ნ რატილის ხელმძღვანელობით და ამ თვეს 14-ს განზრახვა აქვს გამართოს კონცერტი არწრუნისეულს თეატრშიო. დაწვრილებით ცნობანი ამ კონცერტის თაობაზე ცალკე იქმნება გამოცხადებული აფიშებითაო.

⁂ სომხურს დრამატიულს დასს 30 ოქტომბერს წარმოუდგენია დრამა გუცკოვისა: „ურიელ აკოსტა“. ამ წარმოდგენას ხალხი ბლომად დასწრებია. ქართულის დრამატიულის საზოგადოების მინდობილობით ბ ნს ი. ბაქრაძეს გადუთარგმნია ეს დრამა ქართულად და ეტყობა ჩვენს კომიტეტსაც განზრახვა აქვს წარმოადგენინოს თავის სათეატრო დასს ეს საუკეთესო დრამა.

⁂ სიღნაღიდამ გვწერენ: ამ ერთის კვირის წინად სიღნაღში მოხდა მეტის-მეტად შემაძრწუნებელი ამბავი. ორი ბიჭი, ერთი ხარაზი და ერთი ისე მოსიარულე, წასულიყვნენ ქალაქის გალავნის ბურჯში ყომრის სათამაშოდ. ეკოჰავათ საღამომდის. ხარაზს, რაც ფული ჰქონოდა, სულ წაეგო. რადგან ხარაზზე პატარას მოეგო ფული, ეს ხარაზი ამდგარიყო და მომგებისთვის ჯერ ეცემა, მერე წვრილის თოკით შეეკრა ხელები, ამავე თოკის წვერი მოეხვია კისერზე, ამოეცალა წაგებული ფულიც, იმის საკუთარიც და ისე დაეგდო ბურჯში. უბედური ფორთხალში და წვალებაში იმ ღამესვე დამრჩვალიყო. უბედურის გვამი რამდენისამე დღის შემდეგ იპოვეს. დამნაშავე ხარაზი შეიპყრეს და სატუსაღოში გაჰგზავნესო.

⁂ მთითგანა გვწერენ: ჩვენს მთაში საზოგადოდ ადრე დგება ხოლმე ზამთარი და ამ წელს-კი უფრო ადრე გვეტუმრა. 15-ს ოქტომბრიდამ დაწყობილი 26-დე თოვლდა და ჰქროდა ქარი. შეჰკრამდა ხოლმე გზებსა და საჩქაროდვე დახვევდნენ მუშებსა და აკეთებდნენ გზასა; გამვლელ-გამომვლელთ ძალიან აწუხებდა ეს საშინელი ქარი: თითქმის გზას ვეღარა ჰხედავდნენ. ამ თოვლიანს და ქარიანს დღეებში გზაში დარჩა რამდენიმე ფურგუნი, ვაშლით დაბარგული; ვაშლი სულ ერთიანად გაფუჭდა სიცივისაგან. ფურგუნში იყო ორი ქართველი ქალი, რომელთაც თან ჰყავდათ ერთი 9—10 წლის ბაშვი. ქალებიცა და იმათი ყმაწვილიც ძალიან შეწუხებულიყვნენ. იმათის საცოდაობით და ტირილით კაცი დაიწოდა. ამ დროს მუშების უფროსი შემთხვევით მიეიდა მათთან და მანდილოსნები ამ მწუხარებიდამ დაიხსნა და შემწეობა აღმოუჩინა სიცივისაგან შეწუხებულთა.

⁂ იქიდამვე გვწერენ: 25 ოქტომბერს გუდაურიდამ აქაური ინჟინერი ბ-ნი ზ—კი წაბძანდა მარხილით გზის დასათვალიერებლად ჯვართან, გუდაურიდამ მე-5 ვერსზედ, სადაც მუშაობდა ერთი ახალგაზდა ყმაწვილი კაცი, მოსე ნარიმანიძე, 22—24 წლისა. ინჟინერის ცხენი შეჩერდა და აღარ გაიარა; ყმაწვილმა კაცმა მიირბინა ი—თან და ცხენს ცემა დაუწყო, ცხენმა წიხლები გაიქნია და მოარტყა მ. ნ—ძესა სახეში; საწყალს მუშას წინა რვა კბილი მაშინათვე გზაზე ჩასცვივდა. მუშა მაშინათვე დაეცა და გონება დაჰკარგა. დაშავებული ყაზარმაში წევს და გუდაურის სადგურის ფერშალი სწამლობსო.

⁂ სოფ. საქარიდამ (ოზურგეთის მაზრ.) გვწერენ: აქ ავ-კაცობა და ბოროტ-მოქმედება ძრიელ ხშირიაო. მაგალითად: წარსულ ენკენისთვეში ბიძაშვილმა დასჩეხა სასიკვდილოდ თავისი ორი ბიძაშვილი (ერთი კაცი და ერთი ქალი) სულ მცირე მიზეზის გამო.

ერთი სიკეთე იდგამს ფეხს ამ სოფელში. თავი იჩინეს იმისთანა კაცებმა, რომელთაც მუდმივ ჯიბეში უდევსთ არზა და სასამართლოში მიათრევენ კაცსა ბრალიან და უბრალო საქმეზე, და თუ არის ვინმე კი მართლა სამართალში მისაცემი, პირველად ეს ვაჟბატონები არიანო.

⁂ იქიდამვე საჩივარს იწერებიან კარგის გზების უქონლობის გამო. საქარაში გზებია თურმე, რომელსაც ორღობეს ანუ შარას უწოდებენ. ამ გზებზე ისეთი ტალახი იცისო, რომ კარგს ცხენსაც უჭირდება გავლა და კაცზე ხომ რაღა უნდა ითქვასო. ამ ხანებში ამ გზაზე ერთი უბედურება მომხდარა: ერთი გლეხი ურმით დაბა ყვირილიდამ შინ მოდენილა და ურემი იმისთანა ტალახში ჩაჰვარდნია, რომ ხარები მკერდამდე ჩაფლულიყვნენ. ბევრსა ცდილა საწყალი მეურმე, მაგრამ ვერა გაუწყვია-რა. ბოლოს ჩამოსულა და ისე ძრიელ აუწევია ურემი, რომ წელი ჩაუწყვეტია. ურემი, როგორც ყოფილა, ამოუტანია, მაგრამ, დაზიანებული თუ არა შინა, ავად გამხდარა და ერთის კვირის შემდეგ გარდაცვლილა.

გვიკვირს, რატომ თითონ სოფლელებივე არა ცდილობენ, გზა როგორმე შეაკეთონ, რომ ამ გვარი უბედურება თავიდამ აიცილონ. სულ ყველაფერში კაცი ხომ სხვას არ უნდა შეჰყურებდეს ხელში.

⁂ ტფილისის სახელმწიფო ბანკის განყოფილებას განუზრახავს, რომ თავის ფულის სალაროს სამხედრო ყარაულებით-კი აღარ იცავდეს, არამედ ელექტრონას შემწეობითაო, ამბობს გაზ. „კავკაზი“. ბანკის სალარო ტელეფონით შეერთებული იქმნება ბ-ნ ტფილისის პოლიცმეისტერის გამგეობასთან და ცეცხლ-მქრობელთა რაზმის მმართველობასთან. საელექტრონო მავთულები ისე იქნება მოწყობილი, რომ თუ რაიმე შიში ექმნება, მაშინვე თავისთავად ზარის რეკა გაიმართება პოლიციის გამგეობაშიაცა და ცეცხლის მქრობელთა რაზმის მმართველობაშიაც. ამ მავთულების გაკეთება მიანდეს ბ-ნს სერგეევს, რომელიც ამ საქმეში გამოცდილია და კარგად დახელოვნებული, რადგან სამხედრო ტელეგრაფები ამან გამართა ოსმალეთის აზიაში წარსულის რუს-ოსმალოს ომის დროსაო.

⁂ ბათუმიდამ სწერენ გაზ. „კავკაზს“, რომ 7 ნოემბერს ქუთაისის ოლქის სასამართლოს განყოფილება გაარჩევს აქ გურიისათვის ფრიად საინტერესო საქმესაო. ბრალდებულნი არიან: ბლაღოჩინი დავით დუმბაძე და მოხუცი მამა მისი პოდ-პორუჩიკი მილიციისა ანტონ დუმბაძეო. მამა-შვილსა ჰბრალდებათ, რომ წაუქეზებიათ ერთი აწ უკვე მოკლული ავაზაკი მოსაკლელად სვიმონ იორაშვილისა, რომელიც იყო თარჯიმანად გურიის საპარქიო კანცელარიისა.

* * *

## დამკვირდი!

> მარტო ერთი ღმერთი უნდა იყოს უცვალებელი; სხვა ყოველი უცვალებლობა ნაკლულოვანებაა. (კორბინელი)

⁑

---

რასაკვირველია, ყინულისავე ნადნობი.

შესანიშნავია, რომ კლდე-ყინული, ნამეტურ ქვედა-ნაწილი—სულ არეულია რიყის ქვასთან. სადაც კლდე-ყინული გახეთქილია, შიგნით ყინულთან შედუღებულს ჰხედავთ ვეებერთელა რგვალს ქვებს. ეს არის ალბათ მიზეზი, რომ ზედა-ნაპირი ყინულისა დიდს მანძილზე ბოლოდამ დაფარულია რიყის ქვით, სილით და სხვა. ამ ქვების და სილის ნაწური, ნარეცხი ჩადის მდინარის სათავეშივე და ამ მიზეზით მდინარე სათავეში ისეთი მღვრიეა, რომ სქელი ფურშუკი გეგონებათ. იქ, სადაც კლდე-ყინული თავდება და წყალი მის გორიდამ ძლივ-ძლიობით გამოდის, ყინული ჩამომტყდარა და დასწოლია წყალს და ყინულის სიმძიმეს დიდს მანძილზე გაუშლია, გაუფანტავს. ათის წლის წინად-კი მდინარე აქ ისე გამოდიოდა, როგორც წისქვილის ღარიდამ.

სამხრეთ-აღმოსავლეთით ენგურის სათავეს ამოჰყუდებია კავკასიის ქედი, მუდამ თოვლით დაფარული. ეს ქედი ამ ადგილას ისე სწორად ამართულა, რომ ადამიანს არ შეუძლიან მის მწვერვალზე ასვლა. უშკულში ამბობენ, რომ ძველად ამ მთაზე გზა მიდიოდა ჩრდილოეთ კავკასიაში, სახელდობრ, მალყარში და ისე ახლო იყოვო, რომ ერთი მალყარელი მონადირე დილით გამომცხვარ ხაჭა-პურს თბილ-თბილსვე მოიტანდა მთის წვერამდიო. თითქმის შუა ადგილას ხსენებულის ქედისა არის ერთ გვარი კლდე, რომელსაც შაქრის თავის სახე აქვს, მაგრამ ისე კი, რომ ძირი ზევით ჰქონდეს და თავი ქვევით. გარედამ ეს კლდე თეთრია. უშკულელები ამ კლდეს ეძახიან „ლაჯიმკოჯ“-ს, ე. ი. სამარილე კლდე. ეს კლდე სოფლიდამ სჩანს და ვინც უნდა უცხო კაცი მისულიყო უშკულში, ყველას ამ კლდეზე მიუთითებდნენ, როგორც სამარილე კლდეზე. ხალხი ამბობდა, რომ ძველად ამ კლდიდამ მარილი გამოჰქონდათ და კიდეც ასახელებდნენ კაცებს. უმატებდნენ აგრეთვე, რომ კლდის ძირში უკვე დარჩენილი არის ძველების სამუშევარი იარაღიო, მაგ., რკინის ურო, კიბე და სხვა. ბევრმა მოინდომა ამ კლდის ნახვა, მაგრამ გზის სიცუდის გამო ვერავინ მიატანა. 1884 წ. ვსთხოვე კლდეებში სიარულით გამოცდილს გეგის და მის ამხანაგს, გვეცადნა იქ მისვლა. ბევრი რაღა გავაგრძელოთ, მივედით, მაგრამ ისეთი გზები გავიარეთ (სულ ყინულებზე და კლდეებზე), ისეთი გაჭირება გამოვიარეთ, რომ იმ კლდეში არა თუ მარილი, ბაჯაღლო ოქროებიც რომ იყოს, ადამიანისათვის უქმად დარჩება, რადგანაც არაფერს მანქანას იმ გზით არაფრის გამოტანა კლდიდამ არ შეუძლიან. გარედა პირი კლდისა ჯერაბით არის შეთეთრებული, არც ურო, არც კიბე და არც მარილი მაგ კლდეში არ არის. ხალხის საჩვენებლად კლდის ნამტვრევები სოფლად წამოვიღე და თავის თვალს არ უჯერებდნენ, რომ ნუ თუ ამ მარილის მადანში ამისთანა ქვები იყოვო.

ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ. ენგურს მოჰყვებიან დიდ ქედიდამ გამოსული შტოები: პირველი ამათგანი უშკულის საზოგადოებას ჰყოფს კალის საზოგადოებისაგან, მეორე უშკულის თავშივე სწყდება და მის დავაკებაზე გაშენებულია უშკულის სოფლები. იმ შტოს ფერდზე, რომელიც მდინარეს მარჯვენივ ჩამოსდევს სათავის მახლობლად, არის უშკულის სათიბები, მარცხენა ქედის ფერდობებზე კი, ქვედა ნაწილში, უშკულისავე ტყეებია, სადაც ხარობს მარტო არყის ხე და შკერი*) (rododenaron). ეს სათიბი ადგილები უშკულს აძლევს წელიწადში, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, 2,300 მარხილს კარგს თივას. წყლის აქეთ-იქით ნაპირებზე გაშლილია მოდიდო ჭალები, სამწყესური ადგილები უშკულის ერთის სოფლისა, სახელდობრ, ჟიბიანისა. მთელი უშკული აქ ასუქებს საკლავს საქონელს და ცხენებს. როგორც ამ მთაში, რომელსაც „შხარ“-ს ეძახის ხალხი, ისე არსად არა სუქდება პირუტყვი. ბალახის სიკეთესთან აქ არის 10-დე მჟავე და მლაშე წყლები, რომელიც ძლიერ უყვარს პირუტყვს. აქ ჰგზავნიდნენ სასუქად პირუტყვს აგრეთვე შორეული სოფლები თავისუფალ სვანეთისა; უშკულის მწყემსებს აბარებდნენ შემოდგომამდე და შემდეგ მიჰყავდათ დასაკლავად; სამწყესურს უშკულელები იღებდნენ შვიდ აბაზიდამ ორ მანეთამდე თითო პირუტყვზე. ერთი უშკულელი,—როგორც ამბობს საერო სიმღერა—ისე გამდიდრდა თურმე აქ ნასუქის ხარებით, რომ მოინდომა „ნემსის“ ხიდის გადება იმ ქედების მწვერვალებ შუა, რომელნიც მდინარეს ჩამოჰყვებიან აქეთ-იქით:

„ახაში ბახაში**) ნესგა
ბოგარხა ღესგი ნესყემიშ.“

ე. ი. ქედისა და ქედის შუა ხიდს აკეთებდა ნემსისას. ამითი ვათავებთ ენგურის სათავის აღწერას და შემდეგ განვაგრძობ ჩვენის მგზავრობის ამბავს.

თავისუფალი სვანი

(შემდეგი იქნება)

---

*) ამ მცენარეს ქართლ-კახეთში ილს ეძახიან. რედ.

**) სიტყვები: „ახ“ ი „ბახ“ ნიშნავენ საგნის შორი-შორს ყოფნას. ბახ ჰქვია აგრეთვე მთას, რომლის მწვერვალი ორად არის გაყოფილი, როგორც ორთითი. „ხ“ანის მაგიერ აქ უნდა ხარი, ძლიერ მძიმეთ გამოთქმული ყელში. ავტ.

არ არის არც ერთი სიკვდილის-შვილი, რომ თავისი უბედურება და თავისი ნაკლულოვანება არა ჰქონდეს. (სისმონდი)

**

უბედურება ახალის შარავანდედით ჰმოსავს დიდ-ბუნებიან კაცთა ბრწყინვალე სახელოვანებას. (ფენელონი)

**

ღმერთო, ვინ მიჰსწვდეს შენგან ქმნილს,
მისს ფერ-უთვალავს შვენებას?..
სიბნელეს აქრობ ნათელით,
სიკვდილით ჰბადავ ცხოვრებას.
(გრ. ორბელიანი)

**

უსირცხვილოს თუ არ არცხვენ,
ბაძით მორცხვიც გაურცხვდების.
(დ. გურამიშვილი)

**

გული, ცნობა და გონება
ერთმანერთზედა ჰკიდიან.
(შ. რუსთაველი)

**

მელი რა წყალთა წაავდო,
იცოდე, არ დასძირავსა,
რადგან მას რწყვითა გაზრდილა,
ამიტომ არ გასწირავსა. (ვახტანგ VI)

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ახალქალაქი**, 12 ოქტომბერს (გორის მაზრა). 4-ს ენკენისთვეს ერთს აქაურს ვაჭარს-გლეხს წყალობა დანდუროვს შეუვარდა ეზოში ცოფიანი ძაღლი. ეზოში ძროხა ება. ცოფიანმა ძაღლმა დაგლიჯა ეს ძროხა. ამ დროს დანდუროვს ეძინა თავის სახლის აივანზე. ძროხის ბღავილზედ დანდუროვი რევოლვერით გამოვარდა ეზოში და რამდენჯერმე ესროლა ცოფიანს. ძაღლი არ მოერიდა რევოლვერის ხმას, მივარდა დანდუროვს მარჯვენა ხელში, ცერი, სალოკი და შუა-თითი შუა-შუა დაუყო და სულაც დაავლეჯა, რევოლვერს რომ არ დაეშალა.

დაგლეჯილმა მაშინვე ადუღებინა ერბო და შიგ დაიდალა დაგლეჯილი ხელი; შემდეგ დაიყარა შაბიამანი და იფეთქა თოფის წამალი. მეორეს დღეს გორიდგან გამოაყვანინა ვიღაც ექიმი სომეხი ბენიაშვილი. ამ უკანასკნელმა დაალევინა წამალი და ისეთი თანხები მისცა, რომ ავად-მყოფს სრულიად აღარაფერის შიში აღარა ჰქონდა. აწუხებდა ხშირად მხოლოდ დადაღული მრავალ-ტანჯული ხელი.

ექვსს ამ თვეს დანდუროვს გაუცოფდა ძროხა, რომელიაც თვითონვე დანდუროვმა მოჰკლა და დამარხა. ძროხის სიკვდილის შემდეგ, დანდუროვი საშინლად გააცივა. დანდუროვმა დაიბარა ტერტერა და სთხოვა: მაზიარეო; მაგრამ ტერტერამ არ აზიარა, ვაი თუ ცოფით იყო ავადაო.

შვიდსა და რვას დანდუროვს იმედი ჰქონდა, იქნება ცოფით არ ვიყო ავადაო. ცხრას კი სრულიად დარწმუნდა, რომ მისი ავად-მყოფობა ცოფის მიზეზით იყო და იხვეწებოდა ენახათ უცნობსა და ნაცნობს. ავად-მყოფი ძალიან მოტკბა და მთლად ანგელოზად გარდიქცა. შუა-დღის უკან გამოაცხადა ავად-მყოფმა, რომ ლეკვები თავში ავიდნენო და მნახველებს გარეთ ითხოვდა, როცა კი ხველება მოუვლიდა ხოლმე. მართლაც, ძალიან მოუმატა ფურთხებას, თვალებში აირია, ჰკუაზედ უფრო შეიშალა და ხველებაც ხშირად მოსდიოდა. ხველების დროს ხალხს გარედ ითხოვდა. უკანასკნელს საათამდის ოთახში დასეირნობდა და გულ-გრილად ესაუბრებოდა მნახველებს სიკვდილზედ... „ოჰ! რა ძნელი ყოფილა სიკვდილი“, „ოჰ, რა ძვირფასი ყოფილა სიცოცხლეო!“ იძახოდა საბრალო. თავ-ზარ დაცემულნი მნახველნი ნუგეშს ვერას აძლევდნენ და ვერც ართობდნენ. ავადმყოფი უსაყვედურებდა:

— სთქვით რამე, თქვე კაი კაცებო; იმიტომ არ მოხველით, რომ გამართოთ? მე ვკვდები და თქვენ გეშინიანთო.

ამ საყვედურზედ ერთმა მნახველმა ასე ანუგეშა:

— რა ექნათ, წყალობ, ალბათ ღვთისაგან აგრე გეწერა და გადაგხდა; ყველა სიკვდილის შვილები ვართ, ჩვენც მალე დავიხოცებით! ნეტარება იმას, ვინც ჩქარა მოშორდება ამ ძაღლ ცხოვრებასაო.

ამისთანა უნუგეშო ნუგეშზედ ავადმყოფმა ჩაიცინა და მიუგო:

— თქვენ სხვა სთქვით რამე, სიკვდილს ეხლა მე თქვენზედ უკედ ვსცნობ. მე სიკვდილისა არ მეშინიან; მე მხოლოდ იმას ვსწუხარ, რომ ჩემი სიკვდილი სხვების სიკვდილს არ ეგვანება; მე მხოლოდ ეს მაწუხებსო.

გაათავა ეს და სთხოვა, ცოლი ენახვებინათ. მაგრამ ცოლმა, ჩვეულებრივ, არ შემიძლიან, ლოგინში ვწევარო, შემოუთვალა. ამაზედ ავადმყოფი უფრო აღელდა, ჩაფიქრდა, გაიარ-გამოიარა რამდენჯერმე, ბოლოს საშინლად ამოიოხრა და სთქვა:

— ვითომ კაცზედ საძაგელი არსება არის რამე!? რისთვის ვიტანჯე? რისთვის ვიწანწალე იმდენი? რად შევიძინე ამოდენა ქონება? ნახევარზედ ცარიელის მუცლით რათ დავეთრეოდი? რათ ვატყუებდი ქვეყანას და ვეწყევლინებოდი!? მისთვის, რომ ბოლოს ვისაც რჩება ყოველივე ეს, უკანასკნელს ჟამს არც კი მნახოს? ვის რას გიშავებთ, რომ გეშინიანთ ჩემი? მადლობა ღმერთს! ალბათ ცოდო მხდება! ღმერთო, მაპატიევ; მაპატიევ ღმერთო!..“

რამდენჯერმე პირ-ჯვარი გადიწერა და თან განაგრძო. მშვიდობით იყავით ყველანი, იცოცხლეთ, ღმერთი გახსომდეთ მუდამ; ამის მეტი არა გამოგადგებათ-რა! იცოცხლეთ, სიცოცხლე ძვირია; მაგრამ.... ეჰ... ხველამ მოუარა და ხალხს ხელით ანიშნა, გარეთ გასულიყვნენ. გადუარა თუ არა ხველამ, მნახველებიც დაბრუნდნენ ოთახში ავად-მყოფთან, რომელმაც კვლავ განაგრძო ლაპარაკი კაცის სიხარბესა და ულმერთობაზედ, ცხოვრების სისაძაგლეზედ, საზოგადოდ სიკვდილზედ და განსაკუთრებით ცოფით სიკვდილზედ:

— კაცზედ უგუნური, სთქვა მან,— კაცზედ ბოროტი არც ერთი ცხოველი არ არისო. ერთმანერთს თვალში ჩინს ვაცლით, სულს ვაძრობთ, ვტანჯავთ, ვაუბედურებთ, ვხოცავთ და მაინც ჰკვიანს და კეთილს გვეძახიანო. არა, არა, ბოროტები, სულელები, ულმერთოები ვართო. თითქო იმიტომ ვცხოვრობთ, რომ ერთმანერთი გავსწყვიტოთო. . . . . . მაგრამ... მაგრამ სიკვდილი კი ყველაზედ ცუდიაო. სიკვდილი ხომ ყველაზედ ცუდი რამ არის; მაგრამ ამისთანა სიკვდილი, როგორითაც მე ვკვდები, სუყველაზედ უარესიაო.

თუმც-კი ემდუროდა ცხოვრების ამაოებას, მაგრამ თავისი დავთრები მაინც განუწყვეტლივ წინ ეწყო და ყველას ანგარიშს უსწორდებოდა. 9 ს, შუა-დღის უკან, დააწერინა ანდერძი, რომლითაც ყოველივე თავისი ქონება თითქმის 15,000 მანათისა უანდერძა თავის ცოლს. ღამით ყარაულობდნენ გზირი და ექიმი ბენიაშვილი. ვახშმობისას ავად-მყოფს რაღაც ცელქობა დაეწყო, ამისათვის ყარაულები ასე მოჰქცეოდნენ: თოკი წაებათ ფეხებზედ და ტახტზედ მიებათ. ავად-მყოფს ბევრი ეხვეწნა: გამიშვითო, ხომ არას გიშავებო; მაგრამ არ აუშვეს. ეს რომ ნახა, ავადმყოფმა ხელების ქნევა დაიწყო და მუქარას ეუბნებოდა ყარაულებს. ყარაულებს გამოეყურთმაჯებინათ თოკი, ესროლათ ქამანდი, კისერზედ გარდევგდოთ და გაეკავებინათ. ხელები მაინც თავისუფალი დარჩენოდა და იქნევდა თურმე. ამიტომ მეორე ქამანდით მარჯვენა ხელიც გაეკავებინათ, მხოლოდ მარცხენა ხელი-ღა დარჩენოდა თავისუფალი, რომლითაც თურმე ემუქრებოდა ბენიაშვილს და უძახოდა:

— აბა მოდი, ამითაც მოგერევიო...

უკანასკნელი ქამანდიც მოსდეს მარცხენა ხელს და საბრალო სრულიად გაკავებული თურმე იყო. მაშინ მიიტანა ბატონმა ბენიაშვილმა წყალი და თავზედ დაასხა, ვითომ და ჩქარა მოკვდესო, მაგრამ ამაოდ. ამ დროს ავად-მყოფმა მოითხოვა პური, ღვინო და მარილი, აურია ერთმანერთში და დალია:

— მღვდელმა არ მაზიარა და მე თვითონ ვეზიარეო.

ტანჯვამ კარგა ხანს თურმე რომ გასტანა, წამებულმა უთხრა მკურნალს!

— წყალი რომ ვერა მკლამს, აბა ღვინო დამასხითო. ღვინო შეასხეს თურმე პირი-სახეზედ, მაგრამ მაინც თურმე არ წაიქცა და განთიადამდის ეცოცხლნა, განთიადისას ჩავკეცნა და განეტევებინა მრავალ-ტანჯული სული. ათს, დილის ათს საათზედ, წაიღეს უბედური უმღვდლოდ (მღვდელი არ გაუძღვა, როგორც ცოფიანს.) და დამარხეს საკუთარს ბაღში.

9-ს ერთი ახალ-ქალაქელი ვაჭარი წავიდა ზემო-ქართლში. სოფ. ნაბახტევში ჩამოეგდო ამბავი, რომ ჩვენში ერთი მდიდარი უშვილო კაცი გაცოფიანდაო. გლეხებს ეთქვათ, რომ ვაყაში არის ერთი დალაქი, რომელიც უებრად არჩენს ცოფსაო და მრავალიც მოურჩენიაო. აფრინეს თურმე კაცი დალაქთან, რომლისთვინაც დაწვრილებით ეამბნათ. დალაქი მაშინვე მოსულიყო ვაჭართან და ეთქვა: წამოვალ ახალქალაქში, ოღონდ ცოცხალს მიუსწრო და, თუ არ მოვარჩინო, იქვე დამხრიტეთო; მე მრავალი მომირჩენია თოკზედ დაბმულებიო და წარედგინა რაღაც სია მორჩენილებისა. ეს დალაქი ჩამოვიდა ახალქალაქში მაშინ, როცა დაცოფილი დამარხული იყო. ბევრი იცა თავში: ნეტა ჩამომესწრო და უეჭველად მოვარჩენდიო. დაცოფილს ენას გაუსინჯავ, ჩავახედებ წყალში და მის ბაიბითგან გავიგებ, რა დღეს და საათს გაცოფდებაო; მერე ჩემს წამალს დავალევინებ და თუ არ მორჩეს, ჩამკირეთო. ბენიაშვილი რაღაც ჰიებს ასმევს, შარდის დროს სიკვდილამდის მიჰყავს ავად-მყოფი და ვერც ყოველთვის არჩენს და ზოგიერთ საჭმელებსაც უკრძალავსო. მე რო წამალს დავალევინებ, ხელწერილს მივცემ, რომ მისგან არა ვითარიმე სიმწარე არა ნახოს ავად-მყოფმა და არც არაფერი ფარეზობა უნდა. თუ არ განთავისუფლდეს, ჯარიმას გარდავიხდიო. ორჯელ უნდა დალიოს ჩემი წამალი და თითო დალევაზედ ხუთ-ხუთ მანათს ვილებო.

ასე კვეხულობდა ეს დალაქი და რამდენად მართალი იყო, ეს მხოლოდ ალლაჰმა უწყის.

ოთხს ენკენისთვეს იმავე ძაღლმა დაცოფა რამდენიმე ძაღლი, ერთი ხარი და ერთიც ერთაწმინდელი სოფლის მოსამართლე. სუყველანი დაცოფდნენ და დაიხოცნენ, ერთაწმინდელის გარდა. ვაყელმა დალაქმა ამას წამალი არ დაალევინა, რადგანაც ერთი თუმანი ვერ უშოვა.

თ. თ.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზეთი „Новости“ თითქოს მოთმინებიდამ გამოსულა და ამბობს:

> დროა ამ გაუთავებელს ლაპარაკს თავი დავანებოთ და ბოლო მოუღოთ ამ ბოლგარიის დაუბოლოვებელ საქმესაო.

ვის-ღა ველაპარაკებითო?

> უსწავლელ სემინარიელს სტამბულოვსა, რომელიც თავის ნებაზე ატრიალებს ბოლგარიის სვე-ბედსა...

ან ვისი იმედი გვაქვს? ევროპისა, ევროპის დიდ სახელმწიფოებისა, რომელნიც ჩვენ მეგობრებად ითვლებიან? ნუ თუ კიდევ მართლა გვჯერა რამე ამ მეგობრებისაო?

> გაზეთებში, დიპლომატიურ მიწერ-მოწერაში ჩვენი მეგობრები გვარწმუნებენ, რომ თქვენ წინააღმდეგ ჩვენ არაფერი გვეთქმისო; პირში გვეუბნებიან, რომ ბოლგარიის საქმეებში თქვენ პირველი ადგილი უნდა გეჭიროთო და ზურგს უკან კი ბოლგარიის მართველებს აქეზებენ და ჩასჩიჩინებენ: უფთხილდით, რუსეთმა ბოლგარიაში ფეხი არ მოიკიდოსო. მეგობრები არა გვყავს ევროპაში. ამიტომ დიდი შეცდომაა ჩვენის მხრივ, თუ ევროპის მეგობრობის იმედი გვაქვს. პირად გვეფერებიან, იმიტომ-რომ ჩვენის სიმძლავრისა ეშინიანთ, პირს უკან კი ცდილობენ, რამდენადაც კი შეუძლიანთ, რითიმე გვავნონ და ხელი შეგვიშალონო.

⁂

არ ვიცით, რა საშუალებას ურჩევს გაზეთი „Новости“, რომ ბოლგარიის გაჭირებული საქმე ასე თუ ისე გარდასწყდეს, და „Гражданинъ“-ი კი ბევრს აღარა სჭრის და პირ-და-პირ ასეთს „საუცხოვო საშუალებას“ ურჩევს ბოლგარიის არევ-დარეულობის მოსასპობლად:

> რა საჭიროებაა, ჯარებით დავიჭიროთ ბოლგარიაო?—ამბობს ბ-ნი მეშჩერსკი. უფრო უკეთესი არ იქნება და იაფადაც არ დაგვიჯდება, საქმე რომ ასე მოვახერხოთ: რამდენიმე კარგი მოსული, ღონიერი ჯარის-კაცი გავგზავნოთ ბოლგარიაში, ვუბძანოთ, რომ დღევანდელი მართველნი—რეგენტები დაიჭირონ, შეჰკრან მაგრად, გააწვინონ და მარილწყალში დამბალი როზგები იმდენი მიართყან ყველა ამ მეტყუროვებს სათითაოდ, რომ კარგა ხანს დაჯდომა აღარ შეეძლოთ... გარწმუნებთ, რომ ბოლგარიაში იმ წამსვე წესიერება ჩამოვარდებოდა. რა სანაძლეოსაც გინდათ, დავსდებ, რომ ჩემი მეგობარი გენერალი მართალს ამბობსო.

მკითხველი მიჰხვდება, რომ ზემოდ მოყვანილი აზრი ვიღაც გენერალს ეკუთვნის და ბ-ნი მეშჩერსკი მხოლოდ ხელს აწერს თავის მეგობრის სიტყვებს...

თვითონ „საშუალება“ მართლა რომ საუცხოვოა და ძალიანაც მოგვწონს: „როზგებზე“ უებარი წამალი რა იქნება!!.

# უცხოეთი

**ბოლგარია.** ბერლინელი კორრესპონდენტი „Times“-ისა სწერს: „თავადმა ბისმარკმა გამოაცხადა, რომ ბოლგარიის საქმე მშვიდობიანად გათავდება, თუ გინდა რუსეთმა ჯარებიც ჩააყენოს ბოლგარიაშიო. ყოველ შემთხვევაში იმედი უნდა გვქონდეს, რომ ამ საქმის გამო ინგლისი და ავსტრია ჯარებს არ შეათოფ-იარაღებენო.

— ბურგასში ამ ჟამად ამბოხებაა ამტყდარი. რეგენტებმა კაპიტან შანიცას მიანდეს ბურგასის მკვიდრთა დამშვიდება. ბურგასის მეციხოვნეთ მკვიდრთა მხარე დაუჭერიათ. სტამბულოვმა ფილიპოპოლში მყოფ ჯარს ბრძანება მისცა, რომ ბურგასში წასულიყვნენ და პასუხად ის მიიღო, რომ არ შეიძლება, რადგან თვით ფილიპოპოლში აღელვებულია ხალხი და აქაც დაგვჭირდება ჯარიო. ფილიპოპოლში შიშიანობის წესნი აღუდგენიათ.

— ბოლგარებს ადრესი შეუდგენიათ და ამ ჟამად ხელს აწერენ ამ ადრესზე. ამ ადრესით სურთ გლადსტონს რჩევა ჰკითხონ: როგორ მოვიქცეთ და როგორ გამოვიდეთ ეხლანდელ გაჭირვებულ მდგომარეობითგანაო.

— ყოველ-გვარი მიწერ-მოწერა ბურგასთან შეწყვეტილია. დეპეშის მავთულები დასჭრეს. შეადგინეს დროებითი მთავრობა ბურგასში. მეციხოვნენი და სხვანი მეამბოხენი თავის ნებით დამორჩილდნენ მთავრობას. სტამბულოვმა ხიდოსისა და იამბოლის ჯარებს ბურგასში წასვლის ბრძანება მისცა, მაგრამ ბევრმა აფიცერმა უარი გამოაცხადა.

— დიდმა საერო კრებამ საუნკვრო სასწავლებლის მოსწავლეთა და ჯარისკაცთ, რომელთაც 9 აგვისტოს ამბოხებაში მონაწილეობა მიუღიათ, ამნისტია დანიშნული.

— ასამდე რუსეთის მატროსი ვარნაში ნაპირზედ გასულა. შაბათს ეს მატროსები რუსეთის საკონსულოს ჯარის მეთაურობით წავიდნენ ვარნის სატუსაღოსკენ. ციხეს რომ დაუახლოვდნენ, მატროსებმა დაუწყეს დაპატიმრებულთ ძახილი: ამ სამ დღეში განთავისუფლებულნი იქნებითო. ამ დროს ბოლგარიის ჟანდარმები გულ-გრილად იდგნენ და ხმას არ იღებდნენ, რადგან მთავრობისაგან აკრძალული ჰქონდათ რუსეთის ქვეშევრდომთა ხელის ხლება.

— იასსითგან დეპეშითა სწერენ „Neue Freie Presse“-ს: აქ მოსულის ცნობებიდამ სჩანს, რომ კარაველოვის მომხრენი რაღაცა მზადებაში არიანო. ამბობენ ვითომ, კარაველოვის მომხრეთ უთქვამსთ კაულბარსისათვის, რომ სარეგენტო მთავრობა შეადგინეთ მხოლოდ კარაველოვისა, ცანკოვისა და ცანკოვის მეთაურობითაო. ვითომ კაულბარსს პეტერბურგში რჩევა უკითხავს ამ საგანზედ და შემდეგი პასუხი მიუღია: კარაველოვი რუსეთის ნდობის ღირსი არ არის. რუსეთი იმის მოსურნეა, რომ სარეგენტო მთავრობა სლავეიკოვისა,

მიტროპოლიტ კლიმენტისა და ცანკოვისაგან შესდგესო.

— დეპეშებით ატყობინებენ «Berl. Tagbl.»-ს სოფიითგან, რომ თუ ვინიცობაა სამსახურს თავი დაანება ესლანდელმა ბოლგარიის მთავრობამ, ახალის სამინისტროს პრეზიდენტად რუსეთის მხრივ ბურმოვი იქმნება დასახელებულიო.

## ბიბლიოგრაფია

### საერო ლექსები მოხევეთა და მოხევის სიმღერები.

ამ ზაფხულს დაიბეჭდა ერთი პატარა წიგნი, რომელიც უყურადღებოთ დასტოვეს ჩვენმა ბიბლიოგრაფებმა ეს წიგნაკი გახლავთ „საერო ლექსები მოხევეთა და მოხევის სიმღერები“. ამ ლექსების დაბეჭდვა მით უფრო შესანიშნავი და სასიამოვნო იყო, რომ პირველად ენახეთ და მოვესწარით ცალკე წიგნად დაბეჭდილს საერო ლექსებს. იქნება ეს მაგალითი წაუბაძველად არ დარჩეს და ამის შემდეგ უფრო გულს-მოდგინედ მოჰკიდონ ხელი ერის ნაწარმოების შეკრებას და დაბეჭდვას.

ეს პაწაწინა წიგნიც საკმაოდ გვარწმუნებს, ზეპირ-სიტყვაობა რა ძვირფასი მასალაა ერის ზნეობრივ შეხედულებათა, საზოგადოებრივ ყოფაცხოვრების საცოდნელად, რა უსაპიროესი წყაროა გრამმატიკის გამოკვლევისათვის შედარება საერო ენისა სალიტერატურო ენასთან. საერო პოეზია—ერის სარკეა, რომელშიაც უტყუარად იხატება ყოველის თავის მიდრეკილებით, ფიქრით და გრძნობით საერო პოეზია—ერის ფილოსოფია, გამოცდილებით გამორკვეული. საერო პოეზია ერის გულ-წრფელი აღსარებაა. მოკლედ დაუმტკიცოთ ჩვენი სიტყვები, ფაქტებით ზემო-მოხსენებულ ლექსთა კრებითგან. ჩვენს ხალხს ცხოველად აქვს შეგნებული მოვალეობა საზოგადოების წინაშე. თავის დანიშნულებას კაცი უნდა ჰხედავდეს საზოგადოებისთვის სამსახურში. კაცი, ხალხის აზრით, სულ-მოკლე ეგოისტი კი არ უნდა იყოს, რომელსაც სახეში აქვს მხოლოდ თავისი სარგებლობა; ყოველი წევრი საზოგადოებისა მოვალეა იზრუნოს თავისთვის იმდენად, რამდენადაც საჭიროა და რამდენადაც ეს ზრუნვა არ არღვევს საერთო ინტერესებს.

კაცი უნდა ხერხი იყოს,
გაჰქონდეს და გამოჰქონდეს;
განა უნდა ეხო იყოს,—
სულ თავისკენ გადმოჰქონდეს?

საზოგადოებაში ყოველი წევრი, ქალი თუ კაცი თანასწორია, ერთი და იგივე მოვალეობა და უფლება აქვსთ:

ლომილომია, ერთია
ძუ იყოს, თუნდა ხვადია.

ჩვენს ხალხს მიუღწევია და გამოურკვევია ეს აზრი სქესთა თანასწორობისა.

მტკიცე კავშირი ერთმანერთ შორის როგორც ჭირში, ისე ლხინშიაც შეურყეველი მცნებაა. ვინც გადუხვევს გზას, დაივიწყებს, უღალატებს თავის მოძმეს, ის მიწასთან გასწორებულია.

თემის გამტეხსა ვაჟკაცსა
მიწით გავსოს პირია.

ანუ: სწორის არ გამტანს, უფალო!
ცხვირი სადმ წააგრეგინე.

წუთი-სოფლის ბოროტსა ერი კარგად ჰგრძნობს და თითქო იმედ გარდაწყვეტილია, რომ ბოროტი ვერა ძლეულა; ცოდო და უსამართლობა გახშირდაო.

ცა გასკდა, მიწა ჩაინგრა
ამდენის ცოდო ბრალითა.
ანუ: რა დრო მოვიდა, უფალო!
რა ცოდო ბრალი ხდებაო?
მშველელიც აღარ ვინ არის,
გული ჯავრითა სკდებაო.

ჩვენს ერს არ უყვარს დაღონება, სამარცხვინოდ მიაჩნია:

ერთხელ სჯობია სიკვდილი,
სულ მუდამ დაღონებასა.

ერი მაინც მამაცად, გულ-მაგრად უდგა ბოროტსა, ცდასა და მხნეობას არ აკლებს.

ვაჟკაცს რო გაუჭირდება,
მაშინაც უნდა ცდილობა.

ავს დღეებს კაცი არ უნდა შეუშინდეს. კაცის სიცოცხლე ერთს ყოფაში არა რჩება—საქანელასავით ქანაობს და ხან აქეთ მოდის, ხან იქით. ამ ქანაობაში, ამ დაუდგრომელ მოძრაობაში უნდა კაცს მხნეობა, გამოცდილება, გულადობა, ერთის სიტყვით, კაცობა.

აი რა მშვენიერის ლექსით გვიხატავს ერი ამ აზრს:

კაცის სიცოცხლე ზღვასავით
გაქანდებ-გამოქანდება;
შეხვდება შავსა დღეებსა,
გული იქ გამოჩნდება.

ამ აღელვებულს ზღვაში, ამ დაუდგომელ ქვეყანაში უნამუსო სიცოცხლეს ერი სიკვდილს ამჯობინებს.

თავ-ლაფ-დასხმულსა სიცოცხლეს
სიკვდილი არა სჯობია?

ვაჟკაცს უნდა „გული მაგარი“, მშიშარს ხვეწნით „მტერი არ შეიბრალებსო“. მშიშარა «მშობელ დედის მგმობია»: მტერთან პირ-და-პირი ბრძოლა უნდა, უკან დახევა სამარცხვინოა, პატივის აყრაა.

შვიდს ვირჩევ, შვიდჯერ სიკვდილსა,
ხელში არ ჩაგივარდები;
ქედ-მოხრილ ქვეყნად ვერ ვივლი,
კლდეზედვე გადავარდები!..

პატივისცემა მოხუცისა ზნეობრივი მოვალეობაა, მისი შეურაცხყოფა, დაჩაგვრა იაფად არ დაუჯდება მგმობელს.

გაგწირავს თემი, ქვეყანა
აღარვინ გიზამს ძმობასა.

მაგრამ თუ ბერი-კაცს წინ გაუმძლავრებია ბოროტი, სიბერეში კეთილს ნუ მოელის სხვისგან.

მოხუცი მომკის იმასვე,
რაც სიყრმით დაუთესია.

ოჯახობის სიწმინდის დარღვევა უმაღლესს დანაშაულად ითვლება. მკვდარიაო, ამბობს ერი, ვინც ოჯახის სიწმინდეს შებღალავსო.

ქვეშ დედა-მიწა ჩაუტყდეს,
ზეცით რისხავდეს ღმერთია.

მეზობლობა ისე სწამს, როგორც ახლო ნათესაობა.

მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებ,
ისიც შინაურიაო.

სტუმარმა მასპინძელს არ უნდა უღალატოს, თორემ ღმერთი შერისხავსო.

და მოღალატე მასპინძლის
უფლისგან დაიქცეოდე.

ქალის სილამაზე როგორი უნდა იყოს, ეს აღწერილი იყო „ივერიაში“. გარეგან სილამაზეს უნდა აშვენებდეს ზნეობრივი თვისებანი: მორცხვობა, ტკბილი ენა საუბარში, მუდამ საქმიანობა, თავ-დაცულება.

ქალს უნდა ჰქონდეს სირცხვილი,
საუბრად—ენა მერცხლისა.

არ უყვარს ერს «ქალი მეჭორე».

არ გარგა ქალი მეჭორე.

თავ-გასულ ქალზედ აი რა ლექსს ამბობს:

ასსა ლიტრასა რკინასა
კბილსა მოვუჭერ კნატს ვუზამ;
იქით მთასა და აქეთსა
ხელს ამოვხირებ რახტს ვუზამ;
ალაზანსა და იორსა
დავეწაფები, ყლაპს ვუზამ,
მაგრამ თავ-გასულს დიაცსა,
იმას ვერაფერს ვერ ვუზამ!..

გრამატიკის შესახებ შევნიშნავ რამდენსამე სიტყვას, რომელსაც მნიშვნელობა აქვს ფონეტიკაში: თოლი (თვალი, ო (ონი) გადვიდა «ვა»-დ), ვოჟკა (ვაჟი, ო გადავიდა „ა“-დ). შემდეგ ის არის შესანიშნავი, რომ მოხევეებს უყვართ ყოველის სიტყვის დაბოლოება «ი»-თ: ქალაი, ბიჭაი, ბევრაი, შავაი, ბარაი. ზედ-შესრულს სახელს, ვგონებ, არ უმატებს ხალხი „ი -ს, თუმცა არსებით სახელს ეს უკანასკნელიც აბოლოებს „ი“-თ: გიორგაი, კალოი და სხვა, გიორგა-ს, კალო-ს მაგიერად. ლექსთა წყობა სავსეა იმ ღირსებით, რაიცა ერის პოეზიის თვისებას შეადგენს: მოხდენილი რითმი, მოულოდნელი შედარებანი და ანტითეზები, ნამდვილი ხელოვნური სურათები და პოეტური აღმაფრენა.

...ნ...

## დეპეშა

31 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** პეტერბურგის კერძო ბანკები 3 ნოემბრიდამ მხოლოდ 2½% მისცემენ ბანკში უვადოდ შეტანილზე და მიმომდინარე ანგარიშით მიბარებულს ფულზედაო.

„Journal de St.-Pèterburg“-ი ამბობს: სალისბერიმ თავის სიტყვაში ავსტრია წამოაყენა წინ და სთქვა, რომ ვითომ ავსტრიამ უნდა იტვირთოს პასუხის გება მშვიდობიანობის დაცვისათვის აღმოსავლეთის საქმეშიო. ავსტრიის იმპერატორის სიტყვა ჰმოწმობს, რომ ავსტრია თავადაც ჰგრძნობს ამ პასუხის-გებას და თუ სალისბერი ჰფიქრობს, რომ ინგლისის პოლიტიკა დამოკიდებულია ავსტრიის პოლიტიკაზე, მაშ იმედი უნდა გვქონდეს, რომ მოხერხე ლონდონელის ორატორის სიტყვას დაუხვდება წინ მეტად მშვიდობიანობის მოსურნე ბუდაპეშტელის ორატორის სიტყვაო.

**პეშტი.** როცა უნგრიელთა დელეგაცია შეუდგა განხილვას სამხედრო სამინისტროს ხარჯთა-აღრიცხვისას, სამხედრო მინისტრმა სთქვა, რომ ტყუილია ის ხმები, რომელიც ამ ბოლოს დროს გავრცელდა, ვითომ ავსტრიის ჯარი კარგად არ არის მოწყობილიო, და სხვათა-შორის დაუმატა: დღეს ჯარის შეთოფ-იარაღებას ორჯელ უფრო ნაკლები დრო უნდა, ვიდრე უწინაო, პშემისლის სიმაგრეთ საკმაოდა აქვთ ზარბაზნებიო და არტილერიაც საკმაოდ განკარგებულიაო.

**პეტერბურგი.** ნაფიცს ვექილს ფრენკელს ნება-რთვა მოხვლია გამოსცეს ტფილისში გაზეთი «Кавказское Обозрѣніе» 1887 წლიდამ.

**ტირნოვო.** ბოლგარიის დიდ საერო კრებას დანიის კოროლ ქრისტიანისთვის დღეს დეპეშა გაუგზავნია, რომელშიაც სწერია:

თქვენო უდიდებულესობავ, დარწმუნებული ვართ, ნებას მისცემთ თქვენს შვილს, რომ ბოლგარიის ტახტი დაიჭიროს.

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპვ (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14,

ამისი ქორონიკონი—უოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4,

ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3.

ნოემბერი 30 დღით არის.

**2 დღე კვირა.** აკინდიანესი და ელპიდიფორისა და სხ. სომეხ. მე-8 კვირა ამაღლებიდგან (ქორწინების ნება ეძლევათ). ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44—36. ტფილისში მზე ამოდის 6—48, ჩადის 4—41; მთვარე ამოდის 7—22, ჩადის 8—43.

**3 დღე ორშაბათი** წმ. მოწ. აკეპსიმე. განახლება ტაძრისა წმ. დიდის მოწამ. გიორგისა. კათოლ. ეპისკ. გუბერტისა და მალახიასი. სომეხ. წმ. სტეფანესი, რომთა მამა მთავარ. და მღვდელთა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44—46. ტფილისში მზე ამოდის 6—49, ჩადის 4—40; მთვარე ამოდის 8—17, ჩადის 9—40.

**4 დღე სამშაბათი.** წმ. ნიკანდორესი. კათოლ. ეპისკ. ალმსაარ. წმ. კარლ ბარომეასი. სომეხ. წმ. აკეპსიმე ეპისკ. და სხვ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44—56. ტფილისში მზე ამოდის 6—50, ჩადის 4—39; მთვარე ამოდის 9—17, ჩადის 10—34.

## გამოსადეგი ცნობანი

### ნიხრი

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე.

| | |
|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 კაპ. |
| წითელი პური 1-ის ხარისხისა . | 3 |
| › › 2 › | 2½ › |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 4½ › |
| › › 2— | 3 › |
| › › 3 › | 2½ › |
| ჭვარის მამის პურის ლავაში | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 4½ › |
| მე-2 ხარისხისა . . | 3½ › |
| მე-3 — . . . | 3 › |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 › |
| ‹ › 2 | 6 › |
| სუკი . . . . | 13 › |
| ცხვრის ხორცი . . . | 6 › |

**მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ:**

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუადღ. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსიისკს და კერჩში შეივლის შორის გზით. შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით, მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

## განცხადებანი

### ტფილისის საქალაქო გამგეობისაგან.

**ტფილისის საქალაქო გამგეობა** ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ 9 ნოემბერს 1886 წელს საბჭოს დარბაზში იქმნება არჩევანი პირველის რიგის ხმოსანთა, რომელნიც უნდა არჩეულ იქმნენ სამის წლის ვადით 1887—1890 წლამდე.

წევრი გამგეობისა ხოსროევი.

(3—2)

დაიბეჭდა და ისყიდება გამომცემლის ზ. პ. გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

**ГРУЗИНСКАЯ РѢЧЬ**

или начальный курсъ грузинскаго языка для русскихъ, შედგენილი მიხეილ ნასიძისაგან. ფასი 35 კაპ.

იქვე ისყიდება „ქართული ქრისტომატია“ უმცროსს კლასებში სახმარებელი. მიხ. ნასიძისა. ფასი 70 კაპ.

ვინც დაიბარებს ნაღდს ფულზედ არა ნაკლებ ათი ეგზემპლიარისას პირდა პირ გამომცემლისაგან, მას მანათზე 20% დაეთმობა. (10—8)

გამოვიდა და ისყიდება ქუთაისში, ი. მურადოვის წიგნის მაღაზიაში

**ქართული წერის დედანი**

პ. გაბიჩვაძისა

ფასი 30 კაპ. ვინც ოც-და ათს, ანუ მეტს ეგზემპლიარს იყიდის, ეგზემპლიარი 24 კაპ. დაეთმობა და გაეგზავნება. (3—2)

### ბიბლიოგრაფიული განცხადება

დაიბეჭდა

რობინზონ კრუზე, თხზულება დეფოსი, თარგმანი რუსულიდგან ანასტასია თუმანიშვილისა. გამოცემა „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა.“

ფასი ექვსი შაური

საწყობი წიგნისა არის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების კანცელარიაში, სათავადაზნაურო ბანკის ქვეშ, არწრუნისეულ სახლებში (подъ помѣщеніемъ Тифлисскаго Дворянскаго Земельнаго банка) ისყიდება ტფილისში: გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნთა მაღაზიებში; ქუთაისში—ძმათა ჭილაძეების და ხონში—ნესტორ წერეთლის წიგნთა მაღაზიებში. ვინც ნაღდ ფულზედ იყიდის თვით საზოგადოების კანცელარიაში არა ნაკლებ 10 ცალისა, იმას დაეთმობა წიგნი ხუთ შაურად.

### ახალი წიგნი

(რუსულს ენაზედ)

„კერძო და საადგილ-მამულო უფლებანი ძველს საქართველოში“. I გამოცემა ფასი 35 კაპ. ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში. (50—23)

16-ს ნოემბერს, დილის 10 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში, დანიშნულია საგანგებო კრება წევრთა «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა განსახილველად: ა) ბათუმის სკოლის საქმისა, ბ) წიგნების ბეჭდვისა და გ) ახალთა წევრთა ამოსარჩევად იმათ მაგიერ, რომელთაც ქალაქ გარედ ცხოვრებისა გამო აღარ შეუძლიანთ მართველობის წევრის თანამდებობის აღსრულება. (5—5)

Дозволено цензурою. Тифлисъ 1 декабря, 1886 года. სტამბა გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26, 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე